

პროფ. დრ. რეჟანა ელთიბიაშვილი



# ქალაქობა



პროფ. ვ. ნ. ნიძოზის ავტორიტეტი

# ძეგლები

---





დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1766  
სახალხო წიგნები: 436

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი  
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი  
იუნუს იუქსელი

გრაფიკა და დიზაინი  
ბილალ ილკაი

გამოცემისთვის მოამზადა  
ულურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:  
05.02.2020/33

ISBN: 978-605-7751-81-2

2020-06-Y-0003-1766

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2020

გამოცემა

Salmat Basım Yay. Amb. San. ve Tic. Ltd. Şti

Tel : +90 312 341 10 24

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო

უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

„განრისხებული იყო, მოთმინებას კი მიეცოვებინა. მისი რისხვა გრიგალივით იყო მოვარდნილი და ყველაფრის განადგურება ეწადა. ეს იყო მედინელი მუსლიმი მესუდ ელ ბედრი, რომელსაც თითქოს გონება წართმეოდა და მხოლოდ ბრაზის ზეგავლენით მოქმედებდა. ხელში მათრახი ეჭირა ეჭირა, რომელსაც გამეცტებით ურტყამდა მონას.

ამ დროს ზურგს უკან ხმა გაიგონა. ეს იყო ძალიან ნაცნობი ხმა. ის ხმა, რომელმაც მედინას სიმშვიდე მოუტანა. ეს ხმა ამბობდა: „იცოდე ებუ მესუდ!“ . თმცა ებუ მესუდი ბრაზისგან ისეთი დაბრმავებული იყო, რომ ყურადღება არც კი მიუქცევია. ის ისევ უმოწყალოდ განაგრძობდა მონის ცემას. ხმა უფრო და უფრო უახლოვდებოდა და იგივეს უმეორებდა: „იცოდე ებუ მესუდ!“

როგორც იქნა ებუ მესუდი გამოერკვა, უკან მიიხედა და დაინახა, რომ ამ მშვიდი და შემწყნარებლობით სავსე ხმით თავად შუამავალი მიმართავდა. ებუ მესუდს გული საშინლად დასწყდა, რომ ეშმაკმა აცდუნა და შეცდომა დააშვებინა. ასე როგორ დაკარგა წონასწორობა, რომ დაავიწყდა მონაც რომ ადამიანი იყო. შუამავალმა კი შეგონება გაავრძელა: „იცოდე ებუ მე-

სუდ, ღმერთი შენთან შედარებით უფრო ძლიერია, ვიდრე შენ ამ მონასთან შედარებით“.

შუამავალმა ებუ მესუდს შეახსენა, რომ სწორედ ღმერთის ჭეშმარიტად ძლიერი და ყოვლის მპყრობელი. მხოლოდ ისაა ძლევა მოსილი, ყოვლის შემძლე, მაგრამ ამავედროულად ყოვლად მოწყალე და შემწყნარებელი. ამ გაფრთხილებამ ებუ მესუდი შინაგანად შეძრა. საშინლად შერცხვენილი და დათრგუნული იყო. ნანობდა და ღმერთს პატიებას სთხოვდა. პირობა დადო, რომ მონებს აღარასოდეს სცემდა, შემდეგ კი შუამავალს უთხრა: „შუამავალო, ღვთის გულისათვის, ამის მერე ეს მონათავისუფალია“. (მუსლიმ, ეიმან, 34)

ძალადობის სხეულების...

ძალადობა არის ძალის ან ზეწოლის გამოყენებით ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ზიანისკენ მიმართული ქმედება. ძალადობა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ან ჯგუფური სახის. ძალადობა უძველესი მოვლენაა, რომელიც კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდანვე ადამიანის ცხოვრებს თან სდევს. დღეისათვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში გავრცელებული ძალადობის ფაქტებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალადობა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

თანამედროვე საზოგადოება ძალადობის მხრივ სერიოზულ პრობლემებს განიცდის. ყოველდღიურად ვხედავთ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სექსუალური თუ სხვა სახის ძა-

არც ძალადობას  
და არც  
სამართლინობას  
ასაკი და სქესი  
არ გააჩნია.  
ყველა ადამიანი  
ვალდებულია  
ერთიმეორეს მიმართ  
შემწყნარებელი იყოს  
და არ დაუშვას

ძალადობა;  
კაცი იქნება, ქალი,  
ახალგაზრდა,  
მოხუცი,  
უფროსი,  
უმცროსი,  
მდიდარი  
თუ ღარიბი.





ლადობის ფაქტებს. ხშიარია ოჯახური ძალადობის ფაქტები. ძალადობენ ბავშვებზე, ქალებზე, მოხუცებზე. ასევე ძალადობა გახშირდა ცხოველებისა და გარემოს მიმართ. ხშიარია ასევე რიტუალური ძალადობა და ტერორიზმის ფაქტები. გარდა ამისა ძალადობის ფაქტებს ვხედავთ სპორტიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული თითქმის ყველა სფეროში.

ძალადობა ხდება მოზარდებში. ერთმანეთზე ძალადობენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ძალადობის კერები ჩნდება ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თანაცხოვრების შემთხვევებშიც. საბოლოოდ კი სახელმწიფოებს შორის კონფლიქტური სიტუაციები და ერთის მიერ მეორის მიწების მიტაცების შემთხვევებიც კი ფიქსირდება. მოკლედ, მსოფლიო დღეს, ძალადობის დემონსტრირების პირობებში, ტკივილით, ცრემლითა და სიძულვილით აგრძელებს ცხოვრებას.

ისლამის ძირითად წყაროებში ძალადობა განმარტებულია, როგორც ჩაგვრა, უსამართლობა. ჩაგვრა, ბოროტება სამართლიანობის ანტონიმია და აღნიშნავს ისეთ ქცევას, რომელიც ზღვარს გადასული და

ძალადობა  
 ვისგანაც ან  
 საიდანაც არ  
 უნდა მოდიოდეს,  
 ის კაცობრიობის  
 დანაშაულია.

უკანონოა. სამართლიანობა კი ყველას უფლების დაცვას და ყველა ქმედების კანონიერ განხორციელებას გულისხმობს. ჰადისში ვკითხულობთ, რომ ღმერთმა აკრძალა ჩაგვრა და ადამიანებმა ერთიმეორეს უსამართლოდ არ უნდა მოექცნენ. (იხ. მუსლიმ, ბირ ვე სილა, 55). შუამავალი ასევე ბრძანებს: „ის ადამიანები, ვინც ხელქვეითებს, ოჯახის წევრებსა და სხვებს, ვისზეც მათი პასუხისმგებლობა ვრცელდება, სამართლიანად მოექცევა ღვთის წინაშე უსაზღვრო წყალობით აღივსებიან და მწყალობლის გვერდით გასხივოსნებულ მინბერებზე დაივანებენ“. (მუსლიმ, იმარე, 18).

მორწმუნის რმწენა  
მის ქცევებში უნდა  
აისახებოდეს.

უზენაესი  
მწყალობელის  
მორწმუნე  
ადამიანი  
შემწყნარებლობით  
უნდა  
ამოიჩეოდეს.

სამართლიანობა საყოველთაო ვალდებულებაა. დიდი, პატარა, ღარიბი, მდიდარი, კაცი, ქალი, უფროსი, უმცროსი, ყველა ვალდებულია სამართლიანად მოიქცეს. ისლამში ძალადობის ნებისმიერი გამოვლინება აკრძალულია. ძალადობა ვისგანაც ან საიდანაც არ უნდა მოდიოდეს, ის კაცობრიობის დანაშაულია.

ისლამი ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ადამიანს სხვა არსებებისაგან ძირითადად მეტყველება, აზროვნება და არცევანის თავისუფლება განასხვავებს. მისი ეს თვისებები ადამიანს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს. შესაბამისად ადამიანის ღირსებაც და პასუხისმგებლობაც განსაკუთრებულია.

ისლამი არ აღიარებს დამოკიდებულებას, რომლის თანახმადაც ადამიანთა ნაწილი დაბადებიდანვე პრივილეგიებით სარგებლობს, ან პირიქით. ყველა ადამიანი ღმერთის გაჩენილია, ერთი ფესვიდან მოდიან და ყველა თანასწორია. (იხ. ჰუჯურათ 49/13). ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება, მიუხედავად იმისა, სად და რა პირობებში დაიბადება.

ისლამის მიხედვით თავისუფლად დაბადებული ადამიანების მიმართ შერჩევითი დამოკიდებულება, მათი დამცირება ან ადამიანისთვის შეუფერებელ პირობებში ჩაყენება კატეგორიულად მიუღებელია. შესაბამისად ისლამი, თავისი მოვლინების პირველივე დღიდან, თანასწორობის პრინციპს ქადაგებს. ღვთის წინაშე ყველა თანასწორია, განურჩევლად თავიანთი ეთნიკური წარმომავლობისა, კანის ფერისა, სქესობრივი კუთვნილებისა და ა.შ.

ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა, სინამდვილეში მთელი კაცობრიობის წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, შერჩეული სამართლის მიხედვით ადამიანთა უსამართლოდ განსჯა ადამიანთა მოდგმას არ ეკადრება.





ადამიანები სიცოცხლის, სიკვდილის, უფლებების, მოვალეობების, ამქვეყნიური და საიქიო საკითხების თვალსაზრისით თანასწორნი არიან. ღვთის წინაშე უპირატესობა კი მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმოშიშობითა და ღვთისმოსაობით მიიღწევა. ადამიანს მხოლოდ გულწრფელი ღვთისმოსაობა და ღვთის წინაშე პასუხიმგებლობის შეგნების ხარისხი გამოარჩევს სხვებისგან და არა რაიმე ამქვეყნიური პრივილეგია. შუამავალი თავის გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში ბრძანებს: „ადამიანებო! კარგად დაიმახსოვრეთ, რომ თქვენი ღმერთი ერთია. თქვენი წინაპარიც ერთია. არაბს არაარაბთან მიმართებაში, თეთრკანიანს შავკანიანთან, შავკანიანს თეთრკანიანთან მიმართებაში არანაირი უპირატესობა არ გააჩნია, გარდა ღვთისმოშიშობისა“. (იბნ ჰანბელ 5/411).

ისლამის ღირებულებების მიხედვით ერთი ადამიანის მკვლევლობა კაცობრიობის მკვლევლობას ნიშნავს. ერთი უცოდველი ადამიანის მოკვლა მთელი კაცობრიობის დახოცვასთანაა გაიგივებული: „ამისთვის დავუწერეთ ისრაილის შვილთ, რომ ვინც მოჰკლას ადამიანი არა ადამიანის წილ და არა

ქვეყანაზე უკეთურობის გასაწმენდად, თითქოსდა მთელი ხალხი ამოეწვიტოს. და ვინც ადამიანს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, თითქოსდა მთელი ხალხისთვის შეუნარჩუნებინოს სიცოცხლე. ვფიცავ! ჩვენი შუამავალნი უკვე იყვნენ მათთან მისულნი ცხადი მტკიცებანით, მაგრამ ამის შემდგომაც, უეჭველად, ბევრი იმათგანი მაინც განაგრძობდა დედამიწაზე ზღვარგადასულობას.

შესაბამისად, ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანია ღვთის მიერ დაფასებული არსებაა და ამიტომ მის მიმართ ჩადენილი ძალადობა მიუღებელია.

გამომდინარე აქედან შავკანიანისა და თეთრკანიანის სიკვდილი თანაბარი მნიშვნელობისაა. შერჩევითი დამოკიდებულება, ტენდენციურობა დიდი შეცდომაა, რაც ადამიანობას არ შეეფერება. ბუნებრივია ასეთ ტენდენციურობის გამოვლინების რელიგიაზე მიწერა კი, მითმეტეს, ყოვლად მიუღებელია. ასევე მნიშვნელობა არ აქვს სად განხორციელდა ძალადობა და მკვლელობა. სადაც არ უნდა იყოს, ყველგან თანაბარი მნიშვნელობის შეფასება უნდა მიეცეს. სისხლი და ცრემლი



სად იღვრება იმის მიხედვით რეაქციის გამოხატვა და ზოგან რეაგირება, ზოგან კი გულგრილობის გამოჩენა, რა თქმა უნდა მიუღებელია. ძალადობის დროისა და ადგილის მიხედვით კლასიფიცირება შეუძლებელი და მიზანშეუწონელია. ეს დედამიწა ადამიანთა საცხოვრებლად ხელსაყრელი რომ იყოს, ძალადობას, მკვლევლობებს, სადაც არ უნდა ხდებოდეს, წინ უნდა აღვუდგეთ და გულგრილნი არ დავრჩეთ.

### საიდან იყვება ძალადობა?

არსებობს გარკვეული გზები, საიდანაც უკვე საუკუნეებია, ძალადობა იკვებება. ძალადობის წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების გატარებისათვის ჯერ ეს გზები უნდა მივაგნოთ. ძალადობის გამოვლენა ხშირად განსხვავებულის, უცხოს, ჩვენთვის მიუღებლის მიმართ ხდება. ამას აქვს ერთგვარი დასაყრდენი ფაქტორები:

#### 1. გამოხიჯვისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა

აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება ადამიანად ყოფნის განუყოფელი ნაწილია და შესაბამისად ფუნდამენტური უფლებაა.

შესაბამისად ამ უფლებათა დაცვის კონტექსტში, უპირველეს ყოვლისა, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, თავად აირჩიოს აღმსარებლობა. ამის შემდეგ, ასევე ყოველგვარი ხელის შეშლის მცდელობისა და ზეწოლის გარეშე, ყოველ ადამიანს უფლება აქვს შეისწავლოს არჩეული სარწმუნოება და ამ რელიგიის წესების შესაბამისად იცხოვროს.

რელიგია იმ ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელიც შუამავლის მხრიდანაა ნაქადაგები და საფუძვლად რწმენა და სიკეთე აქვს და ასევე, რომელსაც გონიერი ადამიანი საკუთარი ნებით ირჩევს. რელიგია სინდისის საქმეა. სარწმუნოების შესახებ ინფორმირებული ადამიანის მიმართ, რომელიმე მიმართულებით ძალადობა, რწმენა იქნება თ ურწმუნოება, მიუღებელია. ყურანში ნაბრძანებია: „სარწმუნოებაში ძალდატანება არ არის. ჭეშმარიტება ცდომილებისაგან ნათლადაა გარჩეული“.

(ბაყარა 2/256).

ადამიანების სინდისზე რაიმე სახის ზეწოლა ძალადობის გამოვლინებაა და ეს არ არის მეთოდი, რომელიც რელიგიას შეეფერება. რწმენა გულიდან მომავალი ჭეშ-

მარიტების ფორმაა, რომელიც თავისუფალ ნებას ემყარება. მორწმუნეობა, რომელიც გულიდან არ მომდინარეობს და თავისუფალ ნებას არ ეყრდნობა თვალთმაქცობაა, რომელიც ურწმუნოების ტოლფასია. ასეთი მდგომარეობა ადამიანის მენტალური განადგურების საფრთხეს ქმნის. ისლამი კი ასეთ შედეგს არასოდეს მიემხრობა. ისლამს სურს ადამიანმა საკუთარი ნებით ჩაწვდეს ჭეშმარიტებას, დაინტერესდეს, გამოიკვლიოს, დაინახოს, დაიჯეროს და იწამოს. საამისოდ კი ღმერთმა ადამიანს გონება უწყალობა და გზამკვლევად კი წმინდა წიგნები და შუამავლები მოუვლინა.

ყველა ეს ღვთიური გზა და საშუალება იმისათვისაა, რომ ადამიანმა გააზრებულად და საკუთარი ნების გამოვლინებით აირჩიოს რწმენა. ყურანში განმარტებულია:


„შენს ღმერთს რომ ენება, უთუოდ ყველა ერთბაშად ირწმუნებდა, ვინც კი დედამიწაზეა. მაშ, შენ აიძულე ხალხს, რათა იქმნენ მორწმუნენი?“ (იუნუს 10/99)

„და უთხარი: „ჭეშმარიტება თქვენი ღმერთისგანაა, ამის შემდეგ

ვინც ინებებს, ირწმუნებს და ვინც ინებებს, უარყოფს. უეჭველად, ჩვენ გავამზადეთ უსამართლოთათვის ცეცხლი, რომელიც გარედან შემოერთყმება მათ. და თუ წყალს მოითხოვენ, დარწყულებული იქნება წყლით, გამდნარი ლითონის დარით, რომელიც სახეებს წვავს. რაოდენ საძაგელი სასმელია და რაოდენ საზარელი სამყოფელია!“

(ქმკჳ 18/29)

ადამიანი სრულიად მარტო ევლინება დედამიწას და ღმერთის წინაშეც ასევე მარტო წარსდგება. ის თავისი ამქვეყნიური ნამოქმედარის გამო განიკითხება. ის განიკითხება, როგორც რწმენის, ისე ამ რწმენიდან გამომდინარე პასუხისმგებლობების მიხედვით. ისლამი გულის და სიყვარულის საქმეა. რელიგიურ საკითხებში დაძალება, ზოგჯერ უკუშედევს იძლევა და სიძულვილს აჩენს ან ადამიანს თვალთმაქცობას აჩვევს. შეიძლება ასეთმა ზეწოლამ მეორე მხრიდან საპასუხო ძალადობა გამოიწვიოს, რაც ორივე მხარის ზიანით დასრულდება. როგორც საზოგადოებრივ ყოფაში მოვლენების მიმართ მრავალფეროვანი დამოკიდებულება ნორმაა, ასევე შეიძლება რელიგიურ საკითხებსაც ადამიანი

A wooden suspension bridge with a metal frame and ropes, crossing a river in a dense, lush green forest. The bridge is made of wooden planks and is surrounded by thick foliage and trees. The scene is peaceful and scenic.

საიქიოში უსასრულო  
მშვიდობის ერთადერთი  
ადრესი სამოთხეა და იქ  
შემსვლელები  
მხოლოდ ისინი არიან,  
რომლებმაც  
ამ ქვეყნად ცხოვრებისას  
დედამიწა მშვიდობიანი  
თანაცხოვრებისთვის  
ხელსაყრელ ადგილად  
გადაქცევისთვის იღვაწეს.

საკუთარი ჭრილიდან უყურებდეს. ყველა ვაღდებულია ერთმეორის აზრს პატივი სცეს.

## 2. სამართლიანობის აღქმის გაუფასურება

სამართლიანობა ყოველგვარ გადაცდომას გამორიცხავს და უსამართლობის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგია. სამართლიანობის პირობებში ყველა თანასწორია, ყველა იღებს იმას, რასაც იმსახურებს. სამართლიანობა სიმართლესთან მჭიდრო კავშირშია და ის ასევე მოიცავს შემწყნარებლობას, გაგებას და ა.შ. გაცემულსა და დამსახურებულს შორის არსებული წონასწორობა სამართლიანობის ქვაკუთხედიანია.

სამართლიანობა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრების ყველა ეტაპზე სათანადოდ უნდა განხორციელდეს. სამართლიანობის აღქმის გაუფასურება საზოგადოებაში დაუცველობის განცდას წარმოშობს. ყურანში ნაბრძანებია:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის აღმდგენი! და არ

გაიძულეთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ“. (მაიდე 5/8).

როდესაც შუამავალს სთხოვეს, რომ ერთ-ერთი დამნაშავის მიმართ მსუბუქი განაჩენი გამოეტანა, რადგან დამნაშავე წარჩინებული გვარისა იყო, შუამავალი ძალიან გაბრაზდა. მან ასეთ რამ ბრძანა: „თქვენზე ადრინდელი ხალხების განადგურების მიზეზი იყო ის, რომ თუ წარჩინებულთაგანი ქურდობას ჩაიდენდა, არ სჯიდნენ, მაგრამ თუ ვინმე სუსტი იგივე დანაშაულს ჩაიდენდა, მას სჯიდნენ. ვფიცავ ღმერთს, მუჰამედის ქალიშვილმა ფატმამაც რომ ჩაიდინოს ქურდობა, მე მას ხელს მოვაჭრიდი“. (იხ. ბუჰარი, ჰუდედ, 12; მუსლიმ, ჰუდედ, 8).

შერჩევითი სამართალი დაუშვებელია. თუ სასამართლო ტენდენციურია და ითვალისწინებს ადამიანთა წარმომავლობას, კანის ფერს, თანამდებობას და სხვა მსგავს პრივილეგიებს, ეს მანკიერი პრაქტიკა და უსამართლობის გამოვლი-

ნებაა. ასეთ შემთხვევაში ჩაგრული ფენა თავს დაუცველად გრძნობს, გროვდება უსამართლობის განცდა და ბრაზი, რაც სოციალური აფეთქების წინაპირობაა. აიათში ნაბრძანებია:

„უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავეებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!“ (ნაჰლ 16/90)

ამრიგად სამართლიანობა დადებითი განვითარების წინაპირობაა, რის შედეგადაც საზოგადოებაში სიმშვიდე ისადგურებს. ამავდროულად ეს არის პრევენციული ღონისძიება არეულობის თავიდან ასაცილებლად. საზოგადოებრივი სიმშვიდე პირდაპირ კავშირშია სამართლიანობასთან. (იხ. ნისა 4/135). სადაც სამართლიანობა საკამათოა, იქ სამართლისადმი ნდობა იკლებს, რაც საბოლოო ჯამში ძალადობისკენ მიმავალი გზაა.

### 3. სქესობრივი განსხვავება

ისლამის მოვლინებისთანავე სქესობრივი დისკრიმინაცია, რო-



გორც მანამდე გაბატონებული წესი, შეიცვალა და მსგავსი დამოკიდებულება აიკრძალა. ისლმმა თქვა, რომ ქალიც და კაციც ღვთიური მოწოდებების წინაშე თანაბრად ვალდებულნი არიან. (იხ. თევე 9/71). შუამავალი პირადად მოუწოდებდა ადამიანებს, რომ ქალების მიმართ დამამცირებელი დამოკიდებულება დაევიწყებინათ და მათდამი პატივისცემა გამოეჩინათ. ის ბრძანებდა: „მე გირჩევთ ქალების უფლებებს ყურადღება მიაქციოთ და ამ საკითხში ღვთის შიში იქონიოთ. როგორც თქვენ გაქვთ მათ მიმართ უფლებები, ქალებსაც თქვენს მიმართ უფლებები გააჩნიათ“. (იხ. მუსლიმ, 3აჯ, 147).


მიუხედავად ასეთი მკაფიო გაფრთხილებისა, დღესაც კი, თანამედროვე მსოფლიოში ქალთა უფლებები ხშირად ირღვევა. ხშირია ქალთა მიმართ ძალადობა და უფრო მეტიც, ძალადობენ იმიტომ, რომ ის ქალია. ოჯახი, რომელიც სიმშვიდის, დაცულობისა და ბედნიერების ადგილი უნდა იყოს, ხშირად ქალებისა და გოგონებისათვის პირიქით ხდება და ისინი ზალადობის მსხვერპლი ხდებიან. მიუხედავად რელიგიური, მორალური და სამართლებრივი წინააღობებისა

ქალების მიმართ ძალადობა მაინც ფართოდაა გავრცელებული.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესაძლო მიზეზები შეიძლება იყოს ალკოჰოლური სასმელები, აზარტული თამაშების შედეგად გამოწვეული პრობლემები, განათლების დაბალი დონე, ეკონომიური სიდუხჭირე, ბავშვობის დროს ძალადობის მსხვერპლობა და ასე შემდეგ. ძალადობა არ არის თანდაყოლილი თვისება და ის დროთა განმავლობაში შექნილი დამოკიდებულებების შედეგად ჩნდება. თუ ვინმე ქალთა უფლებებს არ აღიარებს, მისთვის ქალების მიმართ ძალადობის განხორციელება იოლია. თუ მამაკაცი არ აღიარებს, რომ ქალთა სიცოცხლე, საკუთრება, რწმენა და ნამუსი ხელშეუხებელია, ის იოლად დაარღვევს მის უფლებებს.

თანამედროვე სამართლებრივი სისტემის მიხედვით დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავეს კონკრეტული სამართლებრივი შესაბამისად მიხედვით სჯიან. ისლამი ცდილობს პრევენციულ ღონისძიებებს მიმართოს და შეგონებით და განათლებით აღწევს მიზანს.





ნამდვილი სიმაღლე  
ძლიერების დროს  
მიტევებაში  
მდგომარეობს.

ნამდვილი წარმატება  
ძლიერების დროს  
ძალადობისგან თავის  
შეკავებაშია.

ნამდვილი სიკეთე  
სიგლახის ჩამდენზე  
სიკეთის გაკეთებაა.

ამ პროცესში მთავარია დანაშაულის გამომწვევი წინაპირობებისა და ხელსაყრელი გარემოს მოსპობა და არა ჩადენილი დანაშაულის შემდგომი რეაგირება.

ისლამში არსებობს პრინციპი, რომელიც პრევენციას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებას. მთავარია შეცდომის, ცოდვის და დანაშაულის ჩასადენად ხელსაყრელი გარემო არ არსებობდეს. ასე უფრო დაცულნი ვიქნებით. (იხ. ისრა 17/32). ყურანის აიათები გვასწავლიან თუ როგორ უნდა დავიცვათ თავი ცდუნებებისა და ცოდვის ჩადენისაგან. მაგალითად მრუშობა. უპირველეს ყოვლისა, მრუშობისთვის ხელისშემწყობი გარემო უნდა მოვსპოთ, რომ ამ ტიპის ცოდვის ჩადენის ალბათობა შემცირდეს.

ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლინება ხშირად ტრადიციული გადმონაშთების გამო ხდება. ქალების შევიწროება, ეჭვიანობის ნიადაგზე მათი ცემა ან მოკვლა, მითუმეტეს, როცა დანაშაული არ არის დამტკიცებული და მხოლოდ ეჭვია, უმეცრების ხანის გადმონაშთია და ამდენად მიუღებელია. ამგვარი დამოკიდებულების აღმოფხ-

ვრა მხოლოდ ჯანსაღი რელიგიური და ზნეობრივი სწავლების შედეგად არის შესაძლებელი. საზოგადოებას უნდა აეუხსნათ, რომ შელახული ნამუსისა და ღირსების აღდგენის სახელით მკვლელობის უფლებას ისლამი არ იძლევა. აღნიშნული დანაშაულის შემთხვევაში არც ოჯახურ სათათბიროსა და არც გვარის უხუცესთა საბჭოს განაჩენის გამოტანის უფლება არ გააჩნიათ. ამის უფლება აქვს სახელმწიფოს და შესაბამის ორგანოებს. სახელმწიფოსა და კანონების მიღმა დაწესებული გასამართლებები და სასჯელები ძალადობისკენ მიმავალი გზაა.

ოჯახური ძალადობის საკითხში, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხში, შეამავლის ცხოვრების მაგალითები უმთავრესი გზამკვლევაა. შეამავალს ოჯახში ძალადობისთვის არასოდეს მიუმართავს. მეუღლეების მიმართ მას არც ძალადობის შემცველი სიტყვა გამოუყენებია და არც ფიზიკურად უძალადია. მოძალადეებს კი ყურანის აიათით აფრთხილებდა:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ნებადართული არა გაქვთ, ძალით აიღოთ მემკვიდრეობაში ქალები .

ძალადობა  
არაადამიანურია  
და კაცობრიობის  
დანაშაულია.  
ოჯახში მიმდინარე  
ძალადობა  
არა გამოსავალი,  
არამედ ახალი  
პრობლემების  
საფუძველი  
და ოჯახის  
დანგრევის საფრთხეა.





ან შეავიწროოთ იმისათვის, რომ წაართვათ, რაც მიგიციათ მათთვის, გარდა თუ არ ჩაუდენიათ მათ აშკარა მრუშობა. მოეპყარით მათ ღირსეულად. თუ თქვენ ისინი გძულთ, იქნებ გძულდეთ რამე, ალლაჰს კი დიდი სიკეთე ჩაედოს მასში!“ (ნისა 4/19)

შუამავალი ბრძანებს: „მორწმუნეთა შორის რწმენის მიხედვით საუკეთესო ისაა, ვინც ზნეობრივად საუკეთესოა. თქვენს შორის საუკეთესო ისაა, ვინც მეუღლეების მიმართ საუკეთესოა“. (იხ. თირმიზი, რადა 11).

ოჯახში მეუღლეებს შორის დროდადრო გაუგებრობები და კონფლიქტები რა თქმა უნდა იარსებებს. ამ დროს პრობლემა ძალადობით კი არა, მოთმინებითა და ურთიერთგაგებით მოგვარდება.

ყურანში ნაბრძანებია: „და თუ იგრძენით (შიშობთ), რომ ცოლქმარს შორის განხეთქილებაა, წარგზავნეთ ერთი მსაჯული კაცის ოჯახიდან და ერთი ქალის ოჯახიდან. თუ სურს ორივე მხარეს მორიგება, მაშინ ალლაჰი წარმატებულს ჰყოფს მათ. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ნისა 4/35).

ოჯახური კონფლიქტების დროს სასურველია ამგვარი მორიგების მეთოდით სცადონ პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო თუ კონფლიქტი იმდენად გაღრმავდა, რომ მორიგება შეუძლებელია, მაშინ მხარეების პრეტენზიებს სასამართლო უწყება დაარეგულირებს. ქალთა მიმართ ძალადობა არაადამიანურია და კაცობრიობის დანაშაულია. ოჯახში ძალადობა გამოსავალი არ არის. პირიქით, ძალადობა ოჯახურ თანაცხოვრებას მთლიანად ანგრევს.

#### 4. რისიზმი

ისლამის მიხედვით ადამიანები სხვადასხვა ერებად, ტომებად და გვარებად არიან დაყოფილნი.

„ჰეი, ადამიანნო! შეჭკველად, ერთი მამრიდან და ერთი მდედრიდან გაგაჩინეთ თქვენ და რომ შეიცნოთ ერთმანეთი, დაგადგინეთ ერებად და ტომებად. შეჭკველად, თქვენგან ყველაზე პატივდებული ალლაჰის წინაშე თქვენში ყველაზე უფრო ღვთისმოშიშია. შეჭკველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა, ყველაფრისმცოდნეა!“ (ჰუჯურათ 49/13). შესაბამისად ისლამი ეროვნებებს, განსხვავებულ ეთნიკურ წარმოშობას ბუნებრივად თვლის, მაგრამ ისლამი გმობს რასიზმს.

მუსლიმი, რომელსაც  
მიზნად დაუსახავს  
სწორად ცხოვრება,  
კაცობრიობის  
დანაშაულად  
წოდებულ  
ძალადობას  
არ გაეკარება და  
ასევე ძალადობისა  
და ტერორის  
მიმართ დადებითი  
დამოკიდებულება  
არ ექნება...

უმეცრების ხანაში როდესაც რომელიმე არაბული ტომის წევრს სხვა ტომის ხალხთან რაიმე კონფლიქტი შეემთხვეოდა, მისიანები სიამრთლეს არად დაგიდევდნენ და ყველანი ვადებულნი იყვნენ თანატომელს საბრძოლველად წაჰყვოდნენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ სამართლიანობისთვის ნათესავობა საკმარისი იყო და სიმართლეს არად დაგიდევდნენ. ამის გამო არაბულ ტომებს შორის მუდმივი სისხლისღვრა მძვინვარებდა.

შუამავალმა ამგვარი დამოკიდებულება სრულიად შეცვალა და ყველაფერი სამართლიანობას დაუქვემდებარა.

შუამავალმა თავის გამოსამშვიდობებელ ქადაგებაში სისხლის აღების ტრადიცია აკრძალა. ერთხელ ორ ახალგაზრდას ჩხუბი მოუვიდათ. მათგან ერთი მუჰაჯირი იყო, მეორე კი ენსარი, ანუ მედინელი ადგილობრივი. ჩხუბის დროს მუჰაჯირი ყმაწვილი მუჰაჯირებს უხმობდა საშველად და ყვიროდა: „ჩქარა მუჰაჯირებო!“. მედინელი ყმაწვილიც თავის მხრივ ენსარებს უხმობდა საშველად. შუამავალმა ეს რომ გაიგო ამ კონფლიქტს უმეცრების ხა-

ნის კონფლიქტი უწოდა და ამგვარი დამოკიდებულება მკაცრად აკრძალა. (იხ. მუსლიმ, ბირ. 16).

გარდა ამისა ყურანში ნათლადაა მითითებული, რომ ადამიანები ყველა ერთი ძირიდან მოდიან და წარმომავლობის მხრივ განსხვავება მიუღებელია.

„და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც. შეჭველად, ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის !“ (რუმ 30/22).

„ჰეი, ადამიანნო! გეშინოდეთ თქვენი ღმერთის, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან, და გააჩინა მისგან მეწყვილე (მეუღლე) მისი, ხოლო მათ ორისგან გაამრავლა უამრავი კაცი და ქალი. გეშინოდეთ ალლაჰისა, ვისითაც ურთიერთობთ ერთმანეთს შორის და გაუფრთხილდით ნათესაურ კავშირებს. შეჭველად, ალლაჰი ზედამხედველია თქვენი!“ (ნოსა 4/1).

შუამავალი ბრძანებს: „ღმერთი თვენს სხეულებსა და გარეგნობას არ შეხედავს, ის თქვენს გულში იყურება“. (მუსლიმ, ბირ, 33). აქედან გამომდინარე ეთნიკური წარმომავ-

ლობის ან კანის ფერის გამო ადამიანების განსხვავება და მათდამი დამოკიდებულებაში შერჩევითი სამართლის გატარება ძალადობა და უსამართლობაა. ამ ტიპის უსამართლობა ძალიან მალე განუკითხაობად გადაიქცევა. შუამავალი კატეგორიულად კრძალავდა რასობრივ დისკრიმინაციას. (იხ. მუსლიმი, იმარე 53-54).

როგორც ნათელია, შუამავალი მოქმედებდა პრინციპით, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის მისაღები და სამართლიანი იყო. დღეს, როდესაც არც თუ ისე იშვიათია ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები, ეს ნიშნავს, რომ უმეცრების ხანის აზროვნება ჯერ კიდევ შემორჩენილია. შუამავალმა მკაცრად უსაყვედურა ერთ-ერთ საჰაბეს, რომელიც ბილალს კანის ფერის გამო აკრიტიკებდა: „შენში უმეცრების ხანიდან ჯერ კიდევ დარჩენილა რაღაც“. (იხ. ბუჰარი. იმან 22). შესაბამისად ყველა მუსლიმის ვალია ამგვარი ნარჩენებისგან გაერთავისუფლდეთ.

ისლამის მიხედვით სულიერი ძმობა ბიოლოგიურ ძმობაზე უფრო ძლიერია. ყველა მუსლიმი, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, რა ეროვნ-

ნებისაც არ უნდა იყონ, რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდნენ, მიუხედავად მათი კანის ფერისა, სქესისა, ეკონომიური მდგომარეობისა და ა.შ. ისინი ძმები არიან. ამ ძმობას სიყვარულითა და პასტივისცემით განმტკიცება სჭირდება. ამიტომაც, რომ შუამავალმა მორწმუნეთა ეს ძმობა კონკრეტულ დარიგებაში შემდგენაირად ასახა: „რომელიმე თქვენგანს, რაც საკუთარი თავისთვის სურდეს, თუ იგივე მორწმუნე ძმისთვისაც არ სურს, ჭეშმარიტი მორწმუნე ვერ იქნება“. (ბუჰარი, იმენ 6-7; მუსლიმ, იმან, 71-72).

ჩვენ ის ადამიანები ვართ, რომლებსაც ერთი აზრი გვაკავშირებს. მევლანა ამბობდა: „ერთმანეთს ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანები კი არა, ერთ აზრის მქონენი გაუგებენ“. ამრიგად, ყოველგვარი განსხვავების მიუხედავად ჩვენი გულისმიერი ერთიანობა და რელიგიური ძმობაა ის გზა, რომელიც არეულობისა და ძალადობისგან დაგვიცავს.

## 5. კლასობრივი განსხვავება

ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა კლასობრივი დისკრიმინაციაა. ადამიანთა ნაწილი მიიჩნევს, რომ წარჩინებულთა

გვარის შთამომავალია ან ელიტის წარმომადგენელია და ა.შ. ეს ერთ-გვარი ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევაა.

კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად არსებობდა ასეთი „გამორჩეული „ ფენა. ისინი ამ გზით ამპარტავნებაში ვარდებოდნენ და ადამიანებს უსამართლოდ ექცეოდნენ.

ფუფუნებაში ცხოვრება ადამიანს აფიქრებინებს, რომ სხვაზე დამოკიდებული არ არის და ამ გზით სრულიად მატერიალურ სიმდიდრეზე ორიენტირებული ხდება.

„მათ უამბე ორი კაცის მდგომარეობა. დავუდგინეთ ერთ მათგანს ორი ვენახი, გარშემოვლილი ხურმებით და მათ შორის ყანა.

ორივე ბაღმა ნაყოფი გამოიღო და არაფერი არ მოჰკლებია, რამეთუ ჩვენ ამოვაჩქეფეთ მათ შორის მდინარე.

და მას სხვა სიმდიდრეც ჰქონდა და უთხრა თავის მეგობარს საუბარში: „მე უფრო მეტი ქონება მაქვს შენზე და უფრო მეტი შემწეებიც მყავს.“



მეველანა ამბობდა:  
„ერთმანეთს ერთ  
ენაზე მოლაპარაკე  
ადამიანები კი  
არა, ერთ აზრის  
მქონენი გაუგებენ“.  
ამრიგად,  
ყოველგვარი  
განსხვავების  
მიუხედავად ჩვენი  
გულისმიერი  
ერთიანობა და  
რელიგიური ძმობაა  
ის გზა, რომელიც  
არეულობისა და  
ძალადობისგან  
დაგვიცავს.





შევიდა იგი თავის ბაღში, უსამართლოდ მოქცეული თავისი სულის მიმართ და თქვა: „არ მგონია, რომ ეს ოდესმე მოისპოსო.

არ მგონია დადგეს უამი. და თუ მიბრუნებული ვიქნები ჩემს ღმერთთან, უსათუოდ ვპოვებ ამაზე უკეთესს დაბრუნებისთვისო!“

უთხრა მას თავისმა მეგობარმა საუბრის დროს: „ნუთუ უარყე, რომელმაც გაგაჩინა შენ მიწისგან, შემდეგ წყლისგან და მერე ჩამოგაყალიბა შენ კაცად?

მაგრამ იგი აღლაპი ჩემი ღმერთია. და მე არ დავუდგენ თანაზიარს ჩემს ღმერთს არავის.

როცა შეხვედი შენს ბაღში, რატომ არ თქვი: „რაც ინება აღლაპიმა! არ არის ძალა, გარდა აღლაპისა!“ რომც მხედავდე მე ნაკლები ვიყო შენზე ქონებითა და შვილებით.

ეგების ჩემმა ღმერთმა მე მიბოდოს უკეთესი შენს ბაღზე და მოავლინოს მასზე ზეციდან მრისხანება, მაშინ იქცევა იგი ფიქალ მიწად.

ან მიწამ შთანთქოს წყალი მისი, შემდეგ კი ველარასოდეს შეძლებ მის უკან დაბრუნებას!

და განადგურდა მისი მოსავალი, მერე ხელების ფშვნეცა დაიწყო იქ გაღებული ჯაფის და ჩალეწილი ვაზის ფანჩატურის გამო, და ამბობდა: „ნეტა არავინ გამეხადა თანაზიარი ჩემი ღმერთისთვისო!“

მას ალლაჰის გარდა არავინ ჰყავდა, რომ დახმარებოდა. ხოლო თავად ვერაფერს გახდებოდა“ (იხ. ქეჰვ 32-43).

ყურანში წარჩინებულთა შესახებ ხშირადაა მოთხრობილი. მაგალითად მედიენის ხალხის წარჩინებულებმა შუამავალი შუაიბი უარყვეს და მისი მიმდევრები სამშობლოდან გააძევეს. იგივენაირად მოიქცა მექას მაღალი კლასის საზოგადოება. მათ ჰქონდათ მმართველობა და ყველა პრივილეგია. მათ არ მიიღეს შუამავალი და მკაცრად დაუპირისპირდნენ. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ახლადმოვლენილი ისლამისთვის სახელი გაეტეხათ. იყო ცილისწამება, ტყუილი, ძალადობა, წამება. (იხ. სად, 38/6-7).

არადა ეს ახალი სარწმუნოება მიზნად ისახავდა შეეცვალა იმუამინდელი პოლიტიკური წყობილება, რომელიც უკიდურესად უსა-

მართლო იყო და დაემკვიდრებინა სამართლიანი, თანასწორი გარემო. ისლამი ამბობდა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, განურჩევლად წარმომავლობისა, კანის ფერისა, ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა და ა. შ. უპირატესობა მხოლოდ ღვთისმოსაობასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში უნდა ყოფილიყო. ეს კი მექელ წარჩინებულებს არ მოეწონათ და ამ ახალ სარწმუნოებას სასტიკად დაუპირისპირდნენ. ისინი თავიანთი პრივილეგიების დაკარგვის საშიშროებას გრძნობდნენ, ამიტომ ყველანაირი ხერხით შეეცადნენ მუსლიმების შევიწროებას.

როგორც ცნობილია ისლამის გავრცელების პირველ წლებში შუამავლის ირგვლივ შეკრებილ მუსლიმთაგან მხოლოდ რამოდენიმე ადამიანი იყო მდიდარი. იმ დროისათვის ისლამის მიმდევრების უმეტესობა მონობისგან გათავისუფლებული ღარიბი ადამიანები იყვნენ. მათი ამ სტატუსისა და სიღარიბის გამო ყურეში წარჩინებულები მათ ამცირებდნენ და მათ გვერდით დადგომა მიუღებლად მიაჩნდათ. ისინი ეუბნებოდნენ შუამავალს, რომ როცა ჩვენ შენთან მოვალთ ეგენი უნდა გააძევო.

აღნიშნული მდგომარეობა ყურანში შემდეგნაირადაა აღწერილი:

„და არ გააძევო! რომელნიც მისი წყალობის სურვილით ევედრებიან თავიანთ ღმერთს დილითა და საღამოთი. შენ არ მოგეკითხება მათ გამო და არც მათ მოეკითხებათ შენ გამო. თუ გააძევებ მათ, მაშინ იქნები უსამართლოთაგან“. (ენამ 6/52). ეს გაფრთხილება ყველა მუსლიმისათვის ზოგად პრინციპად იქცა. ჩვენს სარწმუნოებაში ადამიანის წარმომავლობა და ეკონომიური მდგომარეობა მათდამი განსხვავებული მოპყრობის მიზეზი არ ხდება. ისლამში უპირატესობის საზომი ღვთისმოსაობაა, ღვთისადმი პასუხისმგებლობის ცოდნაა.

### ძალადობის მავიჯრად მშვიდობის დამყიდობა

სიტყვა ისლამი მშვიდობას, უსაფრთხოებას, სიმშვიდეს და ბედნიერებას ნიშნავს. გამომდინარე აქედან, მუსლიმი არის ადამიანი, რომელიც დედამიწაზე მშვიდობის, კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და ბედნიერებისთვის იღწვის და ამ მიზნის მისაღწევად ღმერთის მიერ დადგენილ პრინციპებს აღიარებს. ისლამი მოწოდებაა საყოველთაო

მშვიდობისკენ: „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შედით სრულად მორჩილებაში (ისლამი) და არ გაჰყვეთ ეშმაკის კვალს, რამეთუ იგი ცხადი მტერია თქვენი!“ (ბაყარა 2/208).

ისლამის მიხედვით ადამიანის სიცოცხლე წმინდაა, ამიტომ ამ სიწმინდის დასაცავად საჭიროა შეიქმნა თავისუფალი, უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო. ამ მიზნის მისაღწევად კი რელიგიით დაწესებული ზნეობრივი პრინციპების გაძიერება და დაცვაა საჭირო. მორწმუნის რწმენა მის ქცევებში უნდა აისახებოდეს.

შუამავალი ბრძანებს, რომ მუსლიმი თავისი ენით და ქცევით სანდო ადამიანია და მისგან საფრთხე არ მომდინარეობს. (იხ. ნესაი, იმან 8).

ყურანის მრავალ აიათში მოწოდებულია, რომ მუსლიმებმა ძალადობისა და დაპირისპირებისგან თავი უნდა შეიკავონ და მშვიდობისთვის იზრუნონ:

„და ჰმორჩილეთ ალლაჰსა და მის შუამავალს და არ შეეცილოთ ერთმანეთს, თორემ სულით დაეცემით და ძალას დაკარგავთ. და იყა-

ვით მომთმენნი, უეჭველად, მომთმენთანაა აღლაპი!“ (ენფალ, 8/46).


მუსლიმები ვაღდეულები არიან მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის საჭირო გარემო შექმნან. მათ ასევე ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარეები უნდა შეარიგონ:

„და თუ ორი ჯგუფი მორწმუნეთაგან ერთმანეთს შეებრძოლება, მაშინ გამოასწორეთ მათ შორის არსებული. მაგრამ თუკი ზღვარს გადავა მათგან ერთ-ერთი მეორის მიმართებაში, მაშინ შეებრძოლეთ იმ ჯგუფს, რომელიც ზღვარს გადავიდა, ვიდრე დაუბრუნდებოდეს აღლაპის ბრძანებას. ამის შემდეგ თუ შემობრუნდება, გამოასწორეთ მათ შორის არსებული პატიოსნად და იყავით სამართლიანნი, რამეთუ აღლაპს უყვარს სამართლიანნი“, (პუჯურათ 49/9).

ინდივიდებსა და ხალხებს შორის მშვიდობის დამკვიდრებისთვის ზრუნვა მუსლიმების მოვალეობაა. მნიშვნელობა არ აქვს დროსა და ადგილს, მუსლიმები ყველგან და ყოველთვის მშვიდობის მთესველები უნდა იყვნენ.

„(ო, მორწმუნეო!) და იყოს ხალხი თქვენგან სიკეთისკენ მომწოდე-





ჩვენს სარწმუნოებაში  
მშვიდობიანად,  
თავისუფლად  
ცხოვრების დროს,  
ომები დღის წესრიგში  
საერთოდ აღარ იქნება.

ბელი, მბრძანები მოსაწონისა და უკეთურების აღმკვეთი, და სწორედ, ეგენი არიან ნეტარნი“. (აღი იმრან 3/104).

ისლამმა მშვიდობასა და ტერორს შორის მტკიცე კედელი გაავლო. ისლამის მიხედვით ადამიანის სიცოცხლე წმინდაა და ამ სიწმინდის მიმართ ნებისმიერი საფრთხის გამოვლინება მიუღებელია. მუსლიმებმა კარგად იცი-



ან, რომ ისლამი მედინას მშვიდობიან გარემოში უფრო სწრაფად გავრცელდა, ვიდრე მექაში, სადაც მუდმივი ძალადობის ქვეშ იყვნენ. ამიტომ ისლამის პოლიტიკური ხედვა და გზა მშვიდობაა. იგივე მიზანია ისლამის მიერ დადგენილ ღვთისმსახურებაში. ყოველი ღვთისმსახურება მშვიდობას, ძმობას, შემწყნარებლობას, თავმდაბლობას გვასწავლის.

ისლამი არ ემხრობა ამქვეყნიური, მატერიალური მიზნებით წამოწყებულ ბრძოლებს. ის გმობს ისეთ ომებს, რომლებსაც ლეგიტიმური აუცილებლობა არ უდევთ საფუძვლად. (იხ. ბაყარა 2/205; ენფალ 8/47; ნაჰლ 16/92).

ხალიფა აბუ ბაქარმა კარგად იცოდა შუამავლის მიერ დადგენილი ომის კანონები, ამიტომ სალაშქროდ მიმავალ ჯარს ასე დაუბარა: „არ შეეხოთ რელიგიურ პირებს. არ დახოცოთ ქალები, ბავშვები და მოხუცები. არ მოჭრათ ხეები, რომლებიც ნაყოფს იძლევა. არ გაანადგუროთ ის ადგილები, რომლებიც დაგმორჩილდათ. ცხვრები და აქლემები მხოლოდ საკვების მიზნით დაკალით. არ დაწვათ ფუტკრები. ნადავლის გაყოფისას ღალატისგან თავი შორს დაიჭირეთ“. (იხ. მუვატბა, ჯიჰად 4).

ამ ყველაფრის მიუხედავად, დღეს, მთელი ისლამური სამყარო უსამართლო ბრძოლებშია გახვეული. ისლამურ სახელმწიფოებში არსებული კონფლიქტების მიზეზები, სამწუხაროდ, გარე ფაქტორებთან ერთად შიდა ფაქტორების ბრალიცაა. ჩვენი სარწმუნოება მუდმივად ზომიერებისკენ მოგვი-

წოდებს. ამის მიუხედავად ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა საგაღალღოა. (იხ. ბაყრა 2/143). შუამავალი ხომ სამყაროს წყალობადაა მოვლენილი. (იხ. ენიბია 21/107) მუსლიმი სამართლიანი ბრძოლის დროსაც კი ზნეობრივად მოქმედებს და შემწყნარებლობას იჩენს. მუსლიმებმა უნდა შექმნან გარემო, სადაც როგორც თანამორწმუნე ძმებთან, ისე არამუსლიმ მეზობლებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას შეძლებენ.

### და ბოლოს...

ძალადობასა და ტერორიზმს არ გააჩნია არც სარწმუნოება და არც ეროვნება. ისლამი კრძალავს ძალადობის ყველა გამოვლინებას, მიუხედავად თავისი შინაარსისა და გამოყენების ფორმებისა. ძალადობის კვალდაკვალ, აუცილებლად ხდება უსამართლობა. როდესაც მუსლიმს აქვს მიზანი, რომ სამყარო უკეთესობისაკენ შეცვალოს, მან ძალადობის მსგავსი გრძნობები საერთოდ უნდა ამოირეცხოს გულიდან. შესაბამისად, პასუხიმიგებლობის მატარებელი მუსლიმი ზომიერად უნდა მოიქცეს ყველას მიმართ; მეზობეი იქნება, მეგობარი, კოლეგა, ნაცნობი თუ უცნობი.

კაცობრიობის ისტორიაში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა იოლი არ ყოფილა. ყველა შუამავალი, რომლებიც ადამიანებს მშვიდობისა და ურთიერთსიყვარულისკენ მოუწოდებდა, დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. მშვიდობისა და სიყვარულის დამკვიდრება კი მათი საერთო მიზანი იყო. გამომდინარე აქედან, ყველა მუსლიმის მოვალეობაა უახლოეს გარემოდან დაწყებული, ყველგან სიკეთისა და თანაგრძნობის მაგალითად იქცეს.

საიქიოში, სამოთხეში, სადაც მუდმივი მშვიდობა და ბედნიერებაა, ის ადამიანები დაიმკვიდრებენ ადგილს, რომლებიც ამქვეყნად ცხოვრებისას მშვიდობისა და სიყვარულისათვის იღწვოდნენ. ყველა სიკეთის წყარო ღმერთია, ამიტომ თუ სიკეთე, სიყვარული, მშვიდობა და ყოველივე კარგი გვსურს, უპირველეს ყოვლისა მას უნდა მივუკედლოთ და მის მიერ დადგენილი ცხოვრების წესის შესაბამისად ვიცხოვროთ.

შუამავალმა მექას გათავისუფლებისას ყველა იმ ადამიანს აპატიავინა, ვინც წლების წინ ყველანაირი ღონე იხმარა, რომ შუამავალი და მისი მიმდევრები შეევიწროებინათ.



მუსლიმი სიკეთის კეთებით,  
სიყვარულისა და  
თანაგრძნობის გავრცელებით  
ბოროტებასა და  
ძალადობას დაამარცხებს

ჩვენც იგივე მეთოდით და მიდგომებით უნდა ვიცხოვროთ. ნამდვილი ამაღლება ისაა, რომ ძლიერი ხარ და მიუტევებ. ნამდვილი წარმატება ისაა, როცა ძლიერი ხარ და არ ძალადობ. ნამდვილი სიკეთე ისაა, ცუდის ჩამდენს რომ სიკეთით გადაუხდი. მხოლოდ ასე შეიძლება ყოველგვარი ძალადობის დამარცხება.